ხელშეკრულება N31
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის თამარი ბაღაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი:ქ. ლაგოდეხი; 26 მაისის ქ. N25; საიდენტიფიკაციო კოდი: №233146798
ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში - GE24NB033010020016502
დირექტორი : თამარი ბაღაშვილი

Union of Preschools of Lagodekhi Municipality
Digitally signed by Union of Preschools of Lagodekhi Municipality
Date: 2022.06.01 14:45:27 +04'00'

და მეორე მხრივ, ი/მ „დავითი ალადაშვილი" სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: ქ. ლაგოდეხი, ზაქათლის ქუჩა N23 ა.
პირადი ნომერი: 25001013683
ტელეფონის ნომერი: 555108300
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE63LB0112124249450000

daviti aladashvili
Digitally signed by daviti aladashvili
Date: 2022.06.01 14:45:03 +04'00'

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვით შემდეგზე:

მუხლი 1.შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი
1.ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - ხელთათმანების შესყიდვას.
2.ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: CPVკოდი 18400000 - სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები, კერძოდ, CPVკოდი 18424000 – ხელთათმანები.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
1.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
2.ხელშეკრულების პირველი მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტების - ხელთათმანების ერთი ერთეულის ღირებულება შეადგენს 2.5 (ორი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

1.მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია **:** ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში " შემავალ 29 (ოცდაცხრა) საბავშვო ბაღში.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2.ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება მოსაწოდებელი პროდუქციის შესაბამისად ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიაების" დირექტორის **თამარ ბაღაშვილის** მიერ დადებითი დასკვნის საფუძველზე წარმოდგენილი მირება-ჩაბარების აქტის თანახმად.

3.„მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. საგარანტიო ვადა

1.შემოთავაზებული პროდუქცია უნდა იყოს მაღალი ხარისხის, აკმაყოფილებდეს თითოეული სახეობებისთვის ინდივიდუალურად წაყენებულ სტანდარტულ მოთხოვნებს, არ უნდა იწვევდეს სამუშაო პროცესის შეფერხებას.

2.მიწოდებულ საქონელზე ქარხნული დეფექტის ან მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ზემოაღნიშნული დეფექტი შეტყობინებიდან **3 კალენდარული დღის ვადაში.**

მუხლი 6. მიღება-ჩაბარების წესი

1.მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელი მიღებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად მოწოდებული პროდუქციის შესაბამისად ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიაების" დირექტორის თამარ ბაღაშვილის დადებითი დასკვნის საფუძველზე წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

2..მიაწოდოს „შემსყიდველს" სრულყოფილი და ხარისხიანი პროდუქცია და მომსახურება;

3. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი და მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
4. უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება **3 (სამი)** დღის ვადაში;
5..კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
6..დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.„შემსყიდველი“ ვალდებულია:
8.უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
9.დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
10.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. კონტროლი (ინსპექტირება)
1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი **თამარი ბაღაშვილი.**
2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).
3.შემოთავაზებული პროდუქცია უნდა იყოს მაღალი ხარისხის, აკმაყოფილებდეს წაყენებულ სტანდარტულ მოთხოვნებს.
4. მიწოდებულ საქონელზე ქარხნული დეფექტის ან მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ზემოთაღნიშნული დეფექტი.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი
1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით

გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1.იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის მომსახურების მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშკრულების ვადის ამოწურვამდე.

2.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

3.მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10% -ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა). მხარეთა შეთანხმებით;

ბ).ერთი მხარის მიერ 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;გ). ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 5 (ხთი) კალენდარული დღის განმავლობაში;

დ). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. შეტყობინება

1.ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში

შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 13. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა

შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.
6.ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი14. ინტერესთა კონფლიქტი
1.ხელისმომწერ პირთა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 5 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
თამარი ბაღაშვილი	**ი/მ „დავითი ალადაშვილი"**
„სკოლამდელი აღზრდის	
ა.(ა)ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის	
„სკოლამდელი აღზრდის	
დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი	